ხელშეკრულება № 169

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 25 სექტემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში ,,შემსყიდველი’’) წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე ტყეშელაშვილის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „გრემი 2011“ (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მმისი დირექტორის ოთარ ვერძეულის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი“–ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: წყლის ტუმბოს (WQDR 19-10-1.5) – **CPV 42122130** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **850 (რვაასორმოცდაათი) ლარი;**

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საგარანტიო პირობა, ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არანაკლებ 6 თვის ვადით. რომელიც გულისხმობს ქარხნული ნაკლის აღმოფხვრას შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 15 დღის ვადაში;

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება, ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებლის მისამართზე: ქ.თბილისი, მტკვირს მარცხ. სანაპიროსა და ვახუსთის ხიდს შორის მაღაზია #36/1;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

შემსყიდველი მიმწოდებელი

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 შემსყიდველის მხრიდანს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს : მიხეილ ფიცხელაური

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე (ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი – თორნიკე მაისურაძე);

6.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი“-ს წარმომადგენელი თორნიკე მაისურაძე;

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

7.3 გამოვლენილი ქარხნული ხარვეზის ან ქარხნული ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 7,2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი | მიმწოდებელი

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშიშედისმისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით;

13. მხარეთა რეკვიზიტები

შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“ **საიდენტიფიკაციო კოდი:** 204878542 **მის:**ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ.#9 **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს „ტერა ბანკი“ **ბანკის კოდი:** TEBAGE 22 **ანგარიშის ნომ:** GE08KS0000000360800806	**შპს „გრემი 2011“** **საიდენტიფიკაციო კოდი:** 401954131 **მის:** ქ.თბილისი, მტკვირს მარცხ. სანაპიროსა და ვახუსთის ხიდს შორის მაღაზია #36/1; **საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. „თიბისი ბანკი“ **ანგარიშის ნომ:** GE51TB7620536050100001

დირექტორი: თ.ტყეშელაშვილი

დირექტორი: ო. ვერძეული

შემსყიდველი

მიმწოდებელი